საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 887-03
20/06/2024

„2024 წლისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) ჩასატარებელი თარიღების განსაზღვრის, რეგისტრაციის ვადებისა და საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა 2024 წლის 11 იანვრის N 11-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორის, მზია გალდავაძის 2024 წლის 20 ივნისის N10848-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 2024 წლისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (ÖSD) ჩასატარებელი თარიღების განსაზღვრის, რეგისტრაციის ვადებისა და საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა 2024 წლის 11 იანვრის N11-03 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში შეიცვალოს თარიღები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (ÖSD) A1, A2, B1, B2 და C1 ენობრივი დონეებისათვის ჩატარდეს 2024 წლის 12 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, ავსტრიული კულტურის ცენტრის სასემინარო დარბაზში - უნივერსიტეტის S კორპუსის 507-ე აუდიტორიაში (გიორგი წერეთლის გასასვლელი N3). ამ თარიღებისათვის გერმანული ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის მსურველებისთვის რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.“

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ავსტრიული კულტურის ცენტრს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა და უნივერსიტეტის ავსტრიულ ბიბლიოთეკას.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი